სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

09.11.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

ტრენინგების მეცამეტე ნაკადის მსმენელები სწავლებას დღეს შეუდგნენ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში 9 ნოემბერს დაიწყო და 21 ნოემბრამდე გასტანს ტრენინგები თემაზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“. აღნიშნული კურსი განკუთვნილია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ქ. თბილისში განთავსებული სახელმწიფო დაწესებულებების, მათ მიერ დაფუძნებული ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისათვის.



სააგენტოს მიერ შემოთავაზებული კურსი განკუთვნილია მხოლოდ მათთვის, ვინც ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს და სურს კვალიფიკაციის ამაღლება.

სწავლებას უძღვებიან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით.

სწავლების დაწყებამდე მსმენელებს ჩაუტარდებათ პრეტესტირება, დასასრულს კი, აგრეთვე, შესაბამისი ტესტირების შემდეგ, გადაეცემათ კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ამ ეტაპზე სწავლებას გაივლის სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებული 56 სპეციალისტი.

ტრენინგებს აფინანსებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.